

გენერალური ასამბლეა

განაწ.: ზოგადი
2012 წლის 27 იანვარი

სამოცდაერთი მეექვსე სესია
დღის წესრიგის საკითხის 64

გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია
[მესამე კომიტეტის მოხსენებასთან დაკავშირებით (A/66/457)]
66/138. ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი
შეტყობინებების პროცედურის შესახებ

გენერალური ასამბლეა,

მადლიერებით იღებს რა ცნობად ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის, რომელიც ეხება შეტყობინებების პროცედურას, მიღებას ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ მისი 17/18 17 2011 წლის 1 ივნისის¹ რეზოლუციის მეშვეობით,

- 1. იღებს ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმის, რომელიც ეხება შეტყობინებების პროცედურას, რომელიც მოცემულია წინამდებარე რეზოლუციის დანართში;*
- 2. იძლევა რეკომენდაციას, ფაკულტატიური ოქმი გაიხსნას ხელმოსაწერად ხელმოწერის ცერემონიაზე, რომელიც გაიმართება 2012 წელს, და სთხოვს გენერალურ მდივანს და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა უზენაეს კომისარს საჭირო დახმარებას.*

89–ე პლენარული სხდომა

¹ იხილეთ გენერალური ასამბლეის, სამოცდამეექვსე სესიის ოფიციალური ჩანაწერები, დანამატი 53–ე (A/66/53), თ. I.

2011 წლის 19 დეკემბერი

დანართი

ბავშვთა უფლებების კონვენციის ფაკულტატიური ოქმი, რომელიც ეხება შეტყობინებების პროცედურას

წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული პრინციპების შესაბამისად, ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისთვის დამახასიათებელი ღირსების და თანასწორი და განუყოფელი უფლებების აღიარება წარმოადგენს თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის საფუძველს მთელ მსოფლიოში,

აღნიშნავენ რა, რომ ბავშვთა უფლებების კონვენციის (შემდგომ – “კონვენცია”) მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასში გათვალისწინებულ უფლებებს მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვისთვის, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, ბავშვის, მისი მშობლებისა თუ კანონიერი მეურვეების რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ინვალიდობის, დაბადების ან სხვა სხვა სტატუსის მიუხედავად,

კვლავ ადასტურებენ რა ადამიანის ყველა უფლების და ძირითადი თავისუფლებების უნივერსალურობას, განუყოფლობას, ურთიერთდამოკიდებულებას და ურთიერთკავშირს,

კვლავ ადასტურებენ რა აგრეთვე ბავშვის, როგორც უფლებების სუბიექტის და ადამიანის, მისთვის დამახასიათებელი ღირსებით და განვითარებადი შესაძლებლობებით, სტატუსს,

აღიარებენ რა, რომ ბავშვთა განსაკუთრებულმა და დამოკიდებულმა მდგომარეობამ შეიძლება შეუქმნას მათ რეალური სირთულეები სამართლებრივი საშუალებების გამოყენების მხრივ მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში,

ითვალისწინებენ რა, რომ წინამდებარე ოქმი გააძლიერებს და შეავსებს ეროვნულ და რეგიონულ მექანიზმებს, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს წარადგინონ საჩივრები მათი უფლებების დარღვევის შემთხვევაში,

აღიარებენ რა, რომ ბავშვთა ინტერესების საუკეთესო უზრუნველყოფა უნდა იყოს უპირველესი ყურადღების საგანი სამართლებრივი საშუალებების გამოყენებისას ბავშვის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, და რომ დაცვის

ასეთი საშუალებები უნდა ითვალისწინებდეს ყველა დონეზე ისეთი პროცედურების გამოყენებას, რომლებიც პასუხობს ბავშვის მოთხოვნილებებს,

მოუწოდებენ რა მონაწილე სახელმწიფოებს შეიმუშავონ სათანადო ეროვნული მექანიზმები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვს, ვისი უფლებებიც დაირღვა, ჰქონდეს ქმედითი საშუალებების წვდომა შიდა დონეზე,

შეახსენებენ რა იმ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რომელიც, ამ თვალსაზრისით, შეიძლება შეასრულოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულმა დაწესებულებებმა და სხვა შესაბამისმა სპეციალიზებულმა დაწესებულებებმა, რომლებსაც ევალებათ ბავშვთა უფლებების ხელშეწყობა და დაცვა,

ითვალისწინებენ რა, რომ, ასეთი ეროვნული მექანიზმების გაძლიერებისა და შევსებითვის და კონვენციის და, შესაბამის შემთხვევებში, მისი ფაკულტატური ოქმების, რომლებიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას და ბავშვების შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართვას, განხორციელების შემდგომი სრულყოფისთვის, მიზანშეწონილი იქნებოდა ბავშვთა უფლებების კომიტეტისთვის (შემდგომ – “კომიტეტი”) შესაძლებლობის მინიჭება, განახორციელოს წინამდებარე ოქმით გათვალისწინებული ფუნქციები,

შეთანხმდნენ შემდეგ ზე:

ნაწილი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1

ბავშვთა უფლებების კომიტეტის კომპეტენცია

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფო აღიარებს კომიტეტის წინამდებარე ოქმით გათვალისწინებულ კომპეტენციას.
2. კომიტეტი არ გამოიყენებს თავის კომპეტენციას წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს მიმართ იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევას რომლის მონაწილეც ეს სახელმწიფო არ არის.
3. კომიტეტი არ მიიღებს შეტყობინებებს, თუ ისინი ეხება სახელმწიფოს, რომელიც არ წარმოადგენს წინამდებარე ოქმის მონაწილეს.

მუხლი 2

კომიტეტის ფუნქციების განმსაზღვრელი ზოგადი პრინციპები

წინამდებარე ოქმით მინიჭებული ფუნქციების შესრულებისას, კომიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს ბავშვთა ინტერესების სუკეთესო დაცვის პრინციპით. იგი ასევე ითვალისწინებს ბავშვის უფლებებსა და შეხედულებს, ბავშვის შეხედულებებისთვის სათანადო ყურადღების დათმობით ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით.

მუხლი 3

საპროცედურო წესები

1. კომიტეტმა უნდა მიიღოს საპროცედურო წესები, რომლებიც უნდა დაცულ იქნეს მისთვის წინამდებარე ოქმით მინიჭებული ფუნქციების შესრულებისას. ამასთან, ის უნდა ითვალისწინებს, კერძოდ, წინამდებარე ოქმის 2-ე მუხლს, ისეთი პროცედურების გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლებიც პასუხობს ბავშვის მოთხოვნილებებს.
2. კომიტეტმა უნდა ჩართოს თავის საპროცედურო წესებში გარანტიები ბავშვის სახელით მოქმედი პირების მიერ ბავშვით მანიპულირების თავიდან ასაცილებლად და შეიძლება უარი თქვას ნებისმიერი შეტყობინების განხილვაზე, რომელიც, მისი აზრით, არ პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უზრუნველყოფას.

მუხლი 4

დაცვის ზომები

1. მონაწილე სახელმწიფომ უნდა მიიღოს ყველა სათანადო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ მის იურისდიქციაში მყოფი კერძო პირები არ ექვემდებარებოდნენ ადამიანის უფლებების რაიმე დარღვევის, სასტიკ მოპყრობის ან დაშინებას წინამდებარე ოქმის შესაბამისად შეტყობინების ან კომიტეტთან თანამშრომლობის შედეგად.
2. არ ხდება არც ერთი დაინტერესებული პირის ან პირთა ჯგუფის პიროვნების საჯაროდ გახსნა მათი თანხმობის გარეშე.

ნაწილი II

შეტყობინებების პროცედურა

მუხლი 5

ინდივიდუალური შეტყობინებები

1. შეტყობინებები შეიძლება წარდგენილ იქნეს მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში მყოფი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ან მათი

სახელით, რომლებიც ამტკიცებენ, რომ წარმოადგენენ მონაწილე სახელმწიფოს მიერ ნებისმიერი ქვემოთ მოყვანილი ხელშეკრულებით, რომლის მხარესაც წარმოადგენს ეს მონაწილე სახელმწიფო, გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევის მსხვერპლს:

(ა) კონვენცია;

(ბ) კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას;

(გ) კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში.

2. როდესაც შეტყობინების წარდგენა ხდება პირის ან პირთა ჯგუფის სახელით, ეს უნდა მოხდეს მათი თანხმობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავტორს შეუძლია თავისი ქმედებების დასაბუთება მათი სახელით ასეთი თანხმობის გარეშე.

მუხლი 6

დროებითი ზომები

1. ნებისმიერ დროს შეტყობინების მიღების შემდეგ და საქმის არსებით მხარეზე გადაწყვეტილების მიღწევამდე, კომიტეტს შეუძლია გადასცეს შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს დაუყოვნებლივ განსახილველად თხოვნა ამ მონაწილე სახელმწიფოს მიერ ისეთი დროებითი ზომების მიღების შესახებ, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს საგანგებო გარემოებებში, სავარაუდო დარღვევის მსხვერპლის ან მსხვერპლთა მიმართ შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

2. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი ახორციელებს თავის უფლებამოსილებას წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ეს არ ნიშნავს შეტყობინების დასაშვებობის ან არსის განსაზღვრას.

მუხლი 7

დასაშვებობა

კომიტეტმა უნდა მიიჩნიოს, რომ შეტყობინება დაუშვებელია, როდესაც:

(ა) შეტყობინება ანონიმურია;

(ბ) შეტყობინება არ არის შესრულებული წერილობითი ფორმით;

(გ) შეტყობინება წარმოადგენს ასეთი შეტყობინებების წარდგენის უფლების ბოროტად გამოყენებას ან შეუთავსებელია კონვენციის დებულებებთან და/ან მის ფაკულტატურ ოქმებთან;

(დ) იგივე საკითხი უკვე იყო განხილული კომიტეტის მიერ ან იყო განხილული ან განიხილება საერთაშორისო გამოძიების ან მოგვარების სხვა პროცედურის შესაბამისად;

(ე) ყველა ხელმისაწვდომი შესაძლო შიდა საშუალება არ ყოფილა ამოწურული. არ უნდა იყოს წესი, რომ შესაბამისი სამართალდამცავი საშუალებების განხორციელება დაუსაბუთებლად ხანგრძლივია და ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქმედით ხელშეწყობას გამოიღებს;

(ვ) შეტყობინება აშკარად უსაფუძვლოა ან არასაკმარისად დასაბუთებული;

(ზ) ფაქტებს, რომლებიც წარმოადგენს შეტყობინების საგანს, ადგილი ჰქონდა წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლამდე შესაბამისი მონაწილე სახელმწიფოსთვის, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ეს ფაქტები გრძელდებოდა ამ თარიღის შემდეგ;

(თ) შეტყობინება არ არის წარდგენილი ერთი წლის განმავლობაში შიდა საშუალებების ამოწურვის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავტორს შეუძლია დაამტკიცოს, რომ შეუძლებელი იყო შეტყობინების წარდგენა ამ ვადის ფარგლებში.

მუხლი 8

შეტყობინების გადაცემა

1. იმ შემთხვევების გარდა, როდესაც კომიტეტი მიიჩნევს, რომ შეტყობინება დაუშვებელია მონაწილე სახელმწიფოს ხსენების გარეშე, კომიტეტმა, რაც შეიძლება სწრაფად, კონფიდენციალურად, უნდა მიიტანოს მის მიმართ წინამდებარე ოქმის შესაბამისად წარდგენილი ნებისმიერი შეტყობინება მონაწილე სახელმწიფოს ცნობამდე.

2. მონაწილე სახელმწიფომ უნდა წარუდგინოს კომიტეტს წერილობითი განმარტებები ან განცხადებები საკითხის გასარკვევად და დაცვის საშუალებებთან დაკავშირებით, თუ ასეთები არსებობდა, რომელთა წარდგენაც შეეძლო. მონაწილე სახელმწიფომ უნდა წარუდგინოს პასუხი, რაც შეიძლება სწრაფად და ექვსი თვის განმავლობაში.

მუხლი 9

მეგობრული მორიგება

1. კომიტეტმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს თავისი კეთილი მომსახურება შესაბამისი მხარეებისთვის, საკითხის მეგობრული მორიგების მიზნით

კონვენციით და/ან მისი ფაკულტატური ოქმებით გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე.

2. მორიგების თაობაზე კომიტეტის ეგიდით მიღწეულ შეთანხმებას მოყვება შეტყობინების განხილვის დასრულება, წინამდებარე ოქმის თანახმად.

მუხლი 10

შეტყობინებების განხილვა

1. კომიტეტმა უნდა განიხილოს წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიღებული შეტყობინებები რაც შეიძლება სწრაფად, მის მიმართ წარდგენილი მთელი დოკუმენტაციის შუქზე, იმ პირობით, რომ ეს დოკუმენტაცია გადაეცა შესაბამის მხარეებს.

2. წინამდებარე ოქმის შესაბამისად მიღებული შეტყობინებების განსახილველად კომიტეტმა უნდა ჩაატაროს დახურული შეხვედრები.

3. იმ შემთხვევებში, როდესაც კომიტეტი ითხოვს დროებითი ზომების გამოყენებას, იგი დააჩქარებს შეტყობინების განხილვას.

4. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ შეტყობინებების განხილვისას, კომიტეტმა უნდა განიხილოს მონაწილე სახელმწიფოს მიერ გადადგმული ნაბიჯების დასაბუთებულობა კონვენციის 4-ე მუხლის შესაბამისად. ამგვარად, კომიტეტს უნდა ახსოვდეს, რომ სახელმწიფოს შეუძლია მიიღოს მრავალი შესაძლებელი პოლიტიკური ზომა კონვენციით გათვალისწინებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების განსახორციელებლად.

5. შეტყობინების განხილვის შემდეგ, კომიტეტმა დაუყოვნებლივ უნდა გადასცემს თავის შეხედულებები მოცემული შეტყობინების მიხედვით თავის რეკომენდაციებთან ერთად, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამის მხარეებს.

მუხლი 11

შემდგომი ზომები

1. მონაწილე სახელმწიფო სათანადოდ განიხილავს კომიტეტის შეხედულებებს მის რეკომენდაციებთან ერთად, არსებობის შემთხვევაში, და წარუდგენს კომიტეტს წერილობით პასუხს, მათ შორის, ინფორმაციას ნებისმიერი ქმედებების შესახებ, რომლებიც განხორციელდა, ან რომელთა განხორციელება ნავარაუდევია კომიტეტის მოსაზრებების და რეკომენდაციების შუქზე. მონაწილე სახელმწიფომ უნდა წარუდგინოს თავისი პასუხი რაც შეიძლება სწრაფად და ექვსი თვის განმავლობაში.

2. კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მონაწილე სახელმწიფოს, გარემოებებიდან გამომდინარე, დამატებითი ინფორმაციის წარადგინოს ნებისმიერი ზომების შესახებ, რომლებიც მონაწილე სახელმწიფომ მიიღო მისი შეხედულებების ან რეკომენდაციების საპასუხოდ ან მეგობრული მორიგების ხელშეკრულების განხორციელების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათ შორის, თუ კომიტეტი შესაბამისად ჩათვლის, მონაწილე სახელმწიფოს შემდგომ ანგარიშებში ჩართვით, კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად, კონვენციის ფაკულტატური ოქმის, რომელიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას, 12-ე მუხლის თანახმად, ან კონვენციის ფაკულტატური ოქმის, რომელიც ეხება ბავშვთა მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში, 8-ე მუხლის თანახმად, შესაბამისობის შემთხვევაში.

მუხლი 12

სახელმწიფოთაშორისი შეტყობინებები

1. წინამდებარე ოქმის მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, ნებისმიერ დროს განაცხადოს, რომ იგი აღიარებს კომიტეტის კომპეტენციას მიიღოს და განიხილოს შეტყობინებები, რომლებშიც მონაწილე სახელმწიფო აცხადებს, რომ სხვა მონაწილე სახელმწიფო არ ასრულებს ვალდებულებებს ნებისმიერი შემდეგი ინსტრუმენტის მიხედვით, რომელთა მხარეს წარმოადგენს მონაწილე სახელმწიფო:

(ა) კონვენცია;

(ბ) კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას;

(გ) კონვენციის ფაკულტატური ოქმი, რომელიც ეხება ბავშვთა ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში.

2. კომიტეტმა არ უნდა მიიღოს შეტყობინებები, რომლებიც ეხება მონაწილე სახელმწიფოს, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება, ან შეტყობინებები მონაწილე სახელმწიფოსგან, რომელსაც არ გაუკეთებია ასეთი განცხადება.

3. კომიტეტმა ხელმისაწვდომი უნდა გახადოს თავისი კეთილი მომსახურება მონაწილე სახელმწიფოებისთვის, საკითხის მეგობრული მორიგების მიზნით კონვენციით და/ან მისი ფაკულტატური ოქმებით გათვალისწინებული ვალდებულებების პატივისცემის საფუძველზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები, წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, განცხადებას შესანახად აბარებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს, რომელიც გადაუგზავნის მის ასლებს სხვა მონაწილე სახელმწიფოებს. განცხადების გამოწვევა შეიძლება ნებისმიერ დროს,

გენერალურ მდივნისთვის შეტყობინების მეშვეობით. ასეთი გაწვევა ხელს არ შეუშლის ნებისმიერი საკითხის განხილვას, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე მუხლის შესაბამისად უკვე გადაცემული შეტყობინების საგანს; არც ერთი მონაწილე სახელმწიფოსგან არც ერთი შემდგომი შეტყობინების მიღება არ მოხდება წინამდებარე მუხლის შესაბამისად განცხადების გაწვევის შესახებ შეტყობინების გენერალური მდივნის მიერ მიღების შემდეგ, იმ შემთხვევის გარდა, თუ მონაწილე სახელმწიფომ ხელახლა გააკეთა ასეთი განცხადება.

ნაწილი III

გამოძიების პროცედურა

მუხლი 13

გამოძიები პროცედურა უხეშ ან სისტემატურ დარღვევებთან დაკავშირებით

1. იმ შემთხვევაში, თუ კომიტეტი მიიღებს სარწმუნო ინფორმაციას, რომელიც მიუთითებს მონაწილე სახელმწიფოს მიერ კონვენციით ან მისი ფაკულტატური ოქმებით გათვალისწინებული უფლებების უხეშ ან სისტემატურ დარღვევებზე, რომლებიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას ან ბავშვების ჩართვას შეიარაღებულ კონფლიქტში, კომიტეტი სთავაზობს მონაწილე სახელმწიფოს ასეთი ინფორმაციის შესწავლაში თანამშრომლობას და, ამ მიზნით, შესაბამის ინფორმაციასთან დაკავშირებით შენიშვნების დაუყოვნებლივ წარდგენას.
2. ნებისმიერი შენიშვნების, რომლებიც შეიძლება წარმოდგინოს მონაწილე სახელმწიფომ და, აგრეთვე, მის ხელთ არსებული ნებისმიერი სარწმუნო ინფორმაციის გათვალისწინებით, კომიტეტს შეუძლია დანიშნოს ერთი ან მეტი თავისი წევრი გამოძიების ჩასატარებლად და კომიტეტისთვის ანგარიშის წარსადგენად. იმ შემთხვევებში, როდესაც ეს გამართლებულია, და მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით, გამოძიება შეიძლება შეიცავდეს ვიზიტს მის ტერიტორიაზე.
3. ასეთი გამოძიება ტარდება კონფიდენციალურად და მონაწილე სახელმწიფოს თანამშრომლობა მოპოვებულ უნდა იქნეს საქმის წარმოების ყველა ეტაპზე.
4. ასეთი გამოძიების დასკვნების შესწავლის შემდეგ, კომიტეტი დაუყოვნებლივ გადაუგზავნის ამ დასკვნებს მონაწილე სახელმწიფოს ყველა შენიშვნასა და რეკომენდაციასთან ერთად.
5. მონაწილე სახელმწიფომ უნდა, რაც შეიძლება სწრაფად, და ექვსი თვის განმავლობაში კომიტეტისგან დასკვნების, შენიშვნების და რეკომენდაციების მიღების შემდეგ, წარუდგინოს კომიტეტს თავისი შენიშვნები.

6. ასეთი წარმოების დასრულების შემდეგ წინამდებარე მუხლის 2-ე პუნქტის შესაბამისად ჩატარებულ გამოძიებასთან მიმართებაში, კომიტეტს შეუძლია, მონაწილე სახელმწიფოსთან კონსულტაციის შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება, წარმოების შედეგების შესახებ მოკლე ანგარიშის წინამდებარე ოქმის 16-ე მუხლით გათვალისწინებულ თავის მოხსენებაში ჩართვასთან დაკავშირებით.

7. თითოეულ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია, წინამდებარე ოქმის ხელმოწერის ან რატიფიცირებისას ან მასთან მიერთებისას, განაცხადოს, რომ იგი არ აღიარებს კომიტეტის წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ კომპეტენციას 1 პუნქტში ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა დოკუმენტით გათვალისწინებულ უფლებებთან დაკავშირებით.

8. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება წინამდებარე მუხლის 7-ე პუნქტის შესაბამისად, შეუძლია, ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ეს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისთვის შეტყობინების მეშვეობით.

მუხლი 14

შემდგომი ზომები გამოძიების პროცედურის შედეგების მიხედვით

1. ექვსთვიანი პერიოდის დასრულების შემდეგ, რომელიც მოხსენიებულია 13-ე მუხლის 5-ე პუნქტში, კომიტეტს შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, მოიწვიოს მონაწილე სახელმწიფო მისი ინფორმირებისთვის მიღებული და გათვალისწინებული ზომების შესახებ წინამდებარე ოქმის 13-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული გამოძიების საპასუხოდ.

2. კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს მონაწილე სახელმწიფოს წარუდგინოს დამატებითი ინფორმაცია ყველა ზომის შესახებ, რომელიც მონაწილე სახელმწიფომ მიიღო 13-ე მუხლის შესაბამისად ჩატარებული გამოძიების საპასუხოდ, მათ შორის, თუ კომიტეტი მიზანშეწონილად მიიჩნევს, მონაწილე სახელმწიფოს შემდგომ ანგარიშებში კონვენციის 44-ე მუხლის, კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-12 მუხლის, რომელიც ეხება ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციას და ბავშვთა პორნოგრაფიას ან კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლის, რომელიც ეხება ბავშვების მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტებში, მიხედვით, შესაბამისობის შემთხვევაში.

ნაწილი IV

დასკვნითი დებულებები

მუხლი 15

საერთაშორისო დახმარება და თანამშრომლობა

1. შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით, კომიტეტს შეუძლია გადასცეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალიზებულ სააგენტოებს, ფონდებს და პროგრამებს და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს საკუთარი შეხედულებები ან რეკომენდაციები, რომლებიც შეეხება შეტყობინებებს და გამოძიებებს და მიუთითებს ტექნიკური კონსულტაციური დახმარების და მხარდაჭერის აუცილებლობაზე, ამ მოსაზრებებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით მონაწილე სახელმწიფოს შენიშვნებთან და წინადადებებთან ერთად, ასეთების არსებობის შემთხვევაში.

2. შესაბამის მონაწილე სახელმწიფოს თანხმობით, კომიტეტს შეუძლია აგრეთვე ასეთი ორგანოების ყურადღება მიაქციოს წინამდებარე პროტოკოლის შესაბამისად განხილული შეტყობინებებიდან გამომდინარე ნებისმიერ საკითხებს, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მათ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, თითოეული მათგანის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში საერთაშორისო ზომების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, რომლებიც, სავარაუდოდ, ხელს შეუწყობს მონაწილე სახელმწიფოებს კონვენციით და/ან მისი ფაკულტატური ოქმებით აღიარებული უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით პროგრესის მიღწევაში.

მუხლი 16

ანგარიში გენერალური ასამბლეის მიმართ

კომიტეტმა უნდა ჩართოს თავის ანგარიშში, რომელსაც ორ წელიწადში ერთხელ წარაუდგენს გენერალურ ასამბლეას კონვენციის 44-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად, თავისი საქმიანობის მოკლე აღწერა წინამდებარე ოქმის მიხედვით.

მუხლი 17

ფაკულტატური ოქმის გავრცელება და მის შესახებ ინფორმაცია

ყოველი მონაწილე მხარე იღებს ვალდებულებას ფართოდ გააშუქოს და გაავრცელოს წინამდებარე ოქმი და ხელი შეუწყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას კომიტეტის მოსზრებების და რეკომენდაციების შესახებ, კერძოდ, იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ამ მონაწილე სახელმწიფოს, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით და ხელმისაწვდომ ფორმატში როგორც მოზრდილების, ისევე ბავშვებისთვის, ინვალიდების ჩათვლით.

მუხლი 18

ხელმოწერა, რატიფიკაცია და მიერთება

1. წინამდებარე ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, რომელმაც ხელი მოაწერა, რატიფიცირება მოახდინა ან შეუერთდა კონვენციას ან მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმიდან ერთ-ერთს.
2. წინამდებარე ოქმი ექვემდებარება რატიფიკაციას ნებისმიერი სახელმწიფოს მიერ, რომელმაც რატიფიკაცია მოახდინა ან მიუერთდა კონვენციას, ან მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმიდან ერთ-ერთს. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.
3. წინამდებარე ოქმი ღიაა მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელმაც რატიფიკაცია მოახდინა ან მიუერთდა კონვენციას, ან მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმიდან ერთ-ერთს.
4. მიერთება ძალაში შევა გენერალური მდივნისთვის მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის მეშვეობით.

მუხლი 19

ძალაში შესვლა

1. წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის შესანახად გადაცემიდან სამი თვის შემდეგ.
2. ყოველი სახელმწიფოსთვის, რომელიც მოახდენს წინამდებარე ოქმის რატიფიკაციას ან მიუერთდება მას მეათე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ მეათე დოკუმენტის შესანახად გადაცემის შემდეგ, წინამდებარე ოქმი ძალაში შედის მისი საკუთარი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად გადაცემის თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 20

დარღვევები რომლებიც ხდება ძალაში შესვლის შემდეგ

1. კომიტეტის კომპეტენცია ვრცელდება მხოლოდ წევრი სახელმწიფოს მიერ კონვენციით და/ან მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების დარღვევაზე, რასაც ადგილი აქვს წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ.
2. თუ რომელიმე სახელმწიფო ხდება წინამდებარე ოქმის მონაწილე მისი ძალაში შესვლის შემდეგ, ამ სახელმწიფოს ვალდებულებები კომიტეტის წინაშე უნდა ეხებოდეს მხოლოდ კონვენციით და/ან მისი პირველი ორი ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევებს, რასაც

ადგილი აქვს შესაბამისი სახელმწიფოსთვის წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ.

მუხლი 21

შესწორებები

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესთავაზოს წინამდებარე ოქმის შესწორება და წარუდგინოს ის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. გენერალური მდივანი გადასცემს ნებისმიერ შემოთავაზებულ შესწორებას მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით, შეატყობინონ, მხარს უჭერენ თუ არა ისინი მონაწილე სახელმწიფოთა თათბირის მოწვევას ამ წინადადებების განხილვისა და მათთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეტყობინების თარიღიდან ოთხი თვის განმავლობაში, ასეთი თათბირის მოწვევას მხარს დაუჭერს მონაწილე სახელმწიფოთა არანაკლებ ერთი მესამედისა, გენერალური მდივანი მოიწვევს ამ თათბირს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ნებისმიერ შესწორებას, რომელიც მიღებულია დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე წევრი სახელმწიფოების ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, გენერალური მდივანი წარუდგენს გენერალურ ასამბლეას დასამტკიცებლად, ხოლო ამის შემდეგ – ყველა მონაწილე სახელმწიფოს მისაღებად.

2. შესწორება, რომელიც მიღებულია და დამტკიცებულია წინამდებარე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, ძალაში შევა ოცდამეათე დღეს მას შემდეგ, რაც მიღების შესახებ შესანახად ჩაბარებული დოკუმენტების რაოდენობა მიაღწევს შესწორების მიღების თარიღისთვის მონაწილე სახელმწიფოების რაოდენობის ორ მესამედს. ამის შემდეგ, შესწორება შედის ძალაში ნებისმიერი მონაწილე სახელმწიფოსთვის, მიღების შესახებ მისი საკუთარი დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს. შესწორება სავალდებულოა მხოლოდ იმ მონაწილე სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც იგი მიიღეს.

მუხლი 22

დენონსაცია

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს წინამდებარე ოქმის დენონსაცია ნებისმიერ დროს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის წერილობით შეტყობინების მეშვეობით. დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ერთი წლის შემდეგ.

2. დენონსაცია არ უნდა ზღუდავდეს წინამდებარე ოქმის დებულებების გამოყენების გაგრძელებას ნებისმიერი შეტყობინების მიმართ, რომელიც წარმოდგენილია 5-ე ან 12-ე მუხლების შესაბამისად ან ნებისმიერი გამოძიების მიმართ, რომელიც დაწყებულია 13-ე მუხლის შესაბამისად, დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღამდე.

მუხლი 23

დეპოზიტარი და შეტყობინება გენერალური მდივნის მიერ

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უნდა იყოს წინამდებარე ოქმის დეპოზიტარი.

2. გენერალური მდივანი აცნობებს ყველა სახელმწიფოს შემდეგის შესახებ:

(ა) ხელმოწერები, რატიფიკაციები მიერთებები წინამდებარე ოქმის შესაბამისად;

(ბ) წინამდებარე ოქმის და მისი ნებისმიერი შესწორებების ძალაში შესვლის თარიღი 21-ე მუხლის შესაბამისად;

(გ) ნებისმიერი დენონსაცია წინამდებარე ოქმის 22-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 24

ენები

1. წინამდებარე ოქმი, რომლის არაბული, ჩინური, ინგლისური, ფრანგული, რუსული და ესპანური ტექსტები თანაბრად აუთენტურია, შესანახად გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივს.

2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი წინამდებარე ოქმის დამოწმებულ ასლებს გადასცემს ყველა სახელმწიფოს.